ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 142

ქალაქი ქუთაისი 30 იანვარი 2019 წელი

„თვითმმართველ ქალაქ ქუთაისში გარე რეკლამის განთავსების გეგმის
დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის საკრებულოს
2010 წლის 24 ნოემბრის №67 განკარგულებაში ცვლილების შეტანის
შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „თვითმმართველ ქალაქ ქუთაისში გარე რეკლამის განთავსების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის საკრებულოს 2010 წლის 24 ნოემბრის №67 განკარგულებაში, კერძოდ, განკარგულებით დამტკიცებულ გარე რეკლამის განთავსების გეგმას დაემატოს ლოტი №41 (226) და ლოტი N42 (227) თანდართული რედაქციით.

(დანართი განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების სანებართვო რეესტრის წარმოება განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, გიორგი ჭიღვარიამ.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ლატარია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2019 წლის 30 იანვრის №142

განკარგულების დანართი

ქალაქ ქუთაისში გარე რეკლამის განთავსების გეგმა

ლოტი №41

№	რეკლამის განსათავსებელი ადგილის ნომერი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება			გარე რეკლამის განთავსების ადგილის ღერძის კოორდინატები		შენიშვნა
		დასახელება	საჯარო რეესტრის ამონაწერის №	მისამართი	x	y	
	№226	ტროტუარი	03.05.23.149	ქალაქი ქუთაისი, ნიკეას ქუჩა N21-ის სამხრეთ-დასავლეთით (ტროტუარი)	309485,30 309485,80	4677976,57 4677976,12	ორმხრივი

შენიშვნა: №41 ლოტით განსაზღვრულ ადგილზე სარეკლამო საშუალება (ორმხრივი) უნდა მოეწყოს მიწისპირა ნიშნულიდან არანაკლებ +0,10 მეტრისა. სარეკლამო საშუალება უნდა წარმოადგენდეს თანამედროვე მასალებით დამზადებულ მოცულობას, რომლის გაბარიტული ზომები უნდა შეადგენდეს ჰორიზონტალურად – სიგანით - 0,670 მეტრს, სისქით - 0,30 მეტრი და ვერტიკალურად – სიგრძით - 4,00 მეტრს.

ლოტი №42

№	რეკლამის განსათავსებელი ადგილის ნომერი	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება			გარე რეკლამის განთავსების ადგილის ღერძის კოორდინატები		შენიშვნა
		დასახელება	საჯარო რეესტრის ამონაწერის №	მისამართი	x	y	
	№227	ტროტუარი		ქალაქი ქუთაისი, გუგუნავას ქუჩა №5ბ-ს მიმდებარედ (ტროტუარი)	307651,95	4680377,62	ორმხრივი

შენიშვნა: №42 ლოტით განსაზღვრულ ადგილზე სარეკლამო საშუალება (ორმხრივი) უნდა მოეწყოს მიწისპირა ნიშნულიდან არანაკლებ +4,50 მეტრისა. სარეკლამო საშუალება უნდა წარმოადგენდეს თანამედროვე მასალებით დამზადებულ მოცულობას, რომლის გაბარიტული ზომები არ უნდა აღემატებოდეს ჰორიზონტალურად 6,00 მეტრ სიგრძეს და ვერტიკალურად 3 მეტრ სიგრძეს, ხოლო სიგანე უნდა შეადგენდეს არაუმეტეს 0,25 მეტრს. სარეკლამო საშუალება უნდა იყოს კონსტრუქციულად მდგრადი, თანამედროვე საშუალებებით განათებული, უნდა შეეფერებოდეს ქალაქის იერსახეს, სამშენებლო ნორმებსა და წესებს, ასევე, საფრთხეს არ უნდა უქმნიდეს ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობას.

საკრებულოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ლატარია